ბრძანება:**ბ47. 4723346001**

თარიღი:**12/12/2023**

ბრძანება N 112

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვლადიმერ სიხარულიძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 13 დეკემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით მივლინებულ იქნას ქალაქ თბილისში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციაში, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ლაგი-კაპიტალში“ საბიუჯეტო პროცესების ფორმირების, შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში ბაგა-ბაღის მშენებლობის პროექტში ცვლილებების შეტანისა და მშენებლობის პროცესში არსებული პრობლემების განხილვის, შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების მიღების მიზნით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე.

2. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი